



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აგრარული ფაკულტეტი

მის: თამარ მეფის ქ. № 59
შერვაშიძის ქ. #53
4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 277766)
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

დამტკიცებულია:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აგრარული ფაკულტეტის საბჭოს

დადგენილებით 2017 წლის 12 დეკემბრის ოქმი № 7

ფაკულტეტის დეკანი:

პროფესორი ქეთევან კინწურაშვილი



აგრარული ფაკულტეტის

საგანმანათლებლო პროფილი

აგრარული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი

1. ფაკულტეტის პროფილის დოკუმენტის მიზანი

აგრარული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პროფილის დოკუმენტი შეიქმნა, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საფეხურების და მიმართულებების განსაზღვრისთვის.

2. გამოყენების სფერო

აგრარული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილის დოკუმენტი წარმოადგენს ორიენტირს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების დაგეგმვის, წარმართვისა და შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტის გამოშვების საქმეში. ის შეიძლება გამოყენებული იქნას დეპარტამენტების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამული სპექტრის შესაქმნელად და შრომის ბაზრის საჭიროებების მიხედვით სპეციალისტებზე მოთხოვნების ინდიკატორად.

3. მოკლესიტუაციური აღწერა

აგრარული ფაკულტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის აკადემიური და პროფესიული განათლების პროგრამებს 5 დეპარტამენტის ბაზაზე:

1. აგრონომიულ მეცნიერებათა
2. სუბტროპიკული კულტურების
3. აგროინჟინერიის
4. ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის
5. სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის

ფაკულტეტებზე მოქმედებს 5 საბაკალავრო, 7 სამაგისტრო, 3 სადოქტორო და 3 პროფესიული პროგრამა.

საბაკალავრო პროგრამები დაკომპლექტებულია ფაკულტეტის სტუდენტთა კონტიგენტის ძირითადი ბირთვით, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტი გაცილებით მცირეა.

ფაკულტეტზე სწავლობს სულ: 626 სტუდენტი, მათ შორის:

ბაკალავრიატში: 564 სტუდენტი, მათ შორის დაფინანსებული: 427 სტუდენტი

(სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა იხ. დანართი 1).

მაგისტრატურაში: 21 სტუდენტი, დოქტორანტურაში 20 სტუდენტი.

პროფესიული: 21 სტუდენტი დაფინანსებული

პროფესიულ პროგრამებზე მიღება ხდებოდა წელიწადში 2-ჯერ. მიმდინარე სასწავლო წელს არ გვექონია საგაზაფხულო მიღება, რადგან აკადემიური პერსონალის დატვირთვა გადაცილდა ზღვრულ ნორმას.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები ფინანსდება ნაწილობრივ ან სრულად მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამებზე მომართვიანობა არ არის დაბალი, მაგრამ უმეტესი ნაწილი აბიტურიენტებისა მისაღებ გამოცდებზე იჭრება ან ჩარიცხვის შემდეგ უჩერდებათ სტატუსი თანხის გადაუხდელობის გამო.სადოქტორო პროგრამებზე კი მომართვიანობა მაღალია და სამეცნიერო ხელმძღვანელისთვის დადგენილი ნორმის ფარგლებში, ყველა ადგილი შევსებულია.

სასწავლო პროგრამების განვითარებისა და სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, ფაკულტეტზე შექმნილი იქნა სასწავლო-ლაბორატორიული აღჭურვილობა, ტექნიკა, მოდელური ლაბორატორიული სამუშაოების მოწყობილობები, ჭურჭელი და რეაქტივები, ელექტრონული სასწავლო პროგრამები, მოწყობილი იქნა კომპიუტერული კლასები. გარემონტდა პირველი სართულის ნაწილი.გარემო გახდა ადაპტირებული უნარშეზღუდული პირებისთვის.ამჟამად მიმდინარებს გათბობის სისტემის მონტაჟი მესამე და მეოთხე სართულზე.

4. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

1. ძლიერი მხარეები / გარე მხარდამჭერი გარემოებები

აგრარული ფაკულტეტის სწავლა-სწავლების პროცესს აქვს ძლიერი მხარეები, რაც პირველ რიგში გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი მხარით და შემდეგ მათი განხორციელების მიდგომებით. ამასთან გასათვალისწინებელია, სოფლის მეურნეობის დარგის (განსაკუთრებით სუბტროპიკული მეურნეობის) სპეციალისტთა მომზადების ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის ისტორია და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;

უნივერსიტეტში და შესაბამისად ფაკულტეტზე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული განრიგით და ის მორგებულია სტუდენტის საჭიროებებზე.სწავლა განხორციელდება 2 ცვლაში , რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას ყველა დაინტერესებული სტუდენტისთვის.სასწავლო პროცესს წარმართავს კვალიფიციური აკადემიური და დამხმარე პერსონალი.აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობის ხარჯზე ხდება სასწავლო კურსების ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფა; უნივერსიტეტსა და აგრარულ ფაკულტეტს კონტაქტი აქვს შესაბამის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან და წარმოებასთან.სტუდენტებს საშუალება აქვთ თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოიმუშაონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის , ფაკულტეტის სასწავლო მეურნეობების და სახელშეკრულებო დაწესებულებებში განხორციელებული აქტივობებით, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტებით.

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პოტენციალს აძლიერებს ის პრიორიტეტები, რომლებიც გააჩნია ქვეყანას ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების სფეროებთან დაკავშირებით. ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა საუკეთესო წინაპირობაა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პერსპექტივისთვის, რადგან აღნიშნულმა გაზარდა მოთხოვნა აგრარული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ასევე ხელშემწყობია პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მზაობა და მცდელობა, კავშირები დაამყარონ ქვეყნის და საზღვარგარეთის ცნობილ კოლეგებთან და მათი გამოცდილება გაიზიარონ სასწავლო პროცესის წარმართვაში (სწავლების მეთოდები, სწავლის პროცესის დაგეგმვა, შეფასების მეთოდები).ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები ყოველწლიურად განიცდიან

განვითარებას და სულ უფრო მორგებული ხდებიან ქვეყნის, შესაბამისი დარგების და დაინტერესებული პირების საჭიროებებზე, რაც აისახება საბოლოო შედეგებზე. პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციური მატულობს მათი კომპეტენტურობის გათვალისწინებით და მათი დასაქმება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში; ფერმერულ და ინდივიდუალურ მეურნეობებში; სამეცნიერო-კვლევით და უმაღლესი სკოლის დაწესებულებებში; აგრარული მიმართულების საწარმოებში, საბაჟო და ნებისმიერი სახის აგრარულ ობიექტებში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში. აგრარული და ტურიზმის მიმართულების ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში. პროგრამების პროფორიენტაციის გაძლიერება ყველა მიმართულებითა და შესაძლებლობებით.

ბ) სუსტი მხარეები:

შედარებით მწირი ფინანსური რესურსები და უცხოურ მონათესავე სპეციალობის უნივერსიტეტებთან მწირი კავშირი. უცხო ენების მცოდნე აკადემიური პერსონალის ნაკლებობა; საერთაშორისო დონეზე პროფესორ - მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობის დაბალი დონე;

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განახლდა მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, დეპარტამენტში კვლავინდებურად არასაკმარისია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები სტუდენტებისათვის; კიდევ უფრო მეტ განვითარებას საჭიროებს სტუდენტური სერვისები; კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი უკეთესის სურვილს ტოვებს.

5. არსებული და პოტენციური პარტნიორები

შ.პ.ს. „ჰერბია“; შ.პ.ს. „ადინა“; შ.პ.ს. „აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო მეურნეობა“; „თხილის მწარმოებელთა ასოციაცია“, „სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია“. „სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი“; შპს „მექანიზატორი“, შპს „ტრაქტორსერვისი“, შპს „თეგეტა მოტორსი“, შპს „აგროსერვისი“, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; „აგრიჯორჯია“, ააიპ „ქ. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი“; იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და გურიის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“, ქ. ქუთაისის დეკორაციულ მცენარეთა სანერგე ი/ს „ნემო კაკუშაძე“, შპს “Flora Westland”, შ.პ.ს. „ბაგრატი 1003“ (სასტუმრო კომპლექსი), შ.პ.ს. „ვონდერლანდი“ (ტურისტული სააგენტო), ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტი (HSN), შ.პ.ს. ქუთაისის ტურიზმისა და ექსკურსიების ბიურო, ინდ.მეწარმე მელანო ბოჭორიშვილი (ტურისტული სააგენტო), სასტუმრო „მონოპოლი“, შ.პ.ს. ედელვაისი -სასტუმრო პრომეთე; სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება (მემორანდუმი), კერძოდ:

- შპს „ჯეო-აგრო-პროდუქტი“,
- შპს „თერნალი“ (წყალტუბო),
- შპს „უნიფარმი“ (ქუთაისი);

- შპს „თერნალი ჩაი“ (ქუთაისი);
- შპს „ვარაზი“ (ქუთაისი);
- შპს „მიკრობიოლოგი“ (ქუთაისი);
- შპს „კოლხეთი“ (ქუთაისი);
- შპს „ქართული დაფნა“ (ვანი, ბზვანი);
- შპს „იბერია ფრუტი“ (დუშეთი, მიჩნიგაური);
- შპს „თიემთი“ (კასპი);
- შპს „ჩირი ფრუტი“ (თბილისი).

6. არსებული საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო პროგრამები	
1. აგრონომია	minor: აგროტექნოლოგია; აგროეკოლოგია
2. აგროინჟინერია	minor: აგროინჟინერია, აგროლოჯისტიკური სისტემები
3. აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა	minor: სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზა.
4. საბაღო-საპარკო მეურნეობა	minor: საბაღო-საპარკო მეურნეობა
5. ტურიზმი	minor: ტურიზმი
სამაგისტრო პროგრამები	
1. სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია	4. აგროინჟინერია მოდულები: <ul style="list-style-type: none"> • სოფლის მეურნეობის მექანიზაცია • სპეციალური ტრანსპორტი სოფლის მეურნეობაში
2. აგროეკოლოგია	5. სუბტროპიკული კულტურების გადამამუშავების ტექნოლოგია
3. სუბტროპიკული კულტურების სელექცია	6. ლანდშაფტური არქიტექტურა
	7. ტურიზმი
სადოქტორო პროგრამები	
1. აგრონომია მოდულები: 1.1 აგროეკოლოგია 1.2. აგროტექნოლოგია 1.3. მცენარეთა დაცვა 1.4. მცენარეთა სელექცია	3. აგრონედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგია და ექსპერტიზა

1.5. საბაღო-საპარკო მეურნეობა	
2. აგროინჟინერია	
პროფესიული (საგნობრივი) საგანმანათლებლო პროგრამები -მიღევადი	
1. აგროლოჯისტიკის ოპერატორი – IVსაფეხური	3. ჰიდროტექნიკური მშენებლობის მწარმოებელი— IVსაფეხური
2. აგროლოჯისტიკის ოპერატორი – Vსაფეხური	

7. ადამიანური რესურსები

აგრარულ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს:

5 პროფესორი

33 ასოცირებული პროფესორი

3 ასისტენტ პროფესორი

6 ხელშეკრულებით მოწვეული მასწავლებელი

12 ლაბორანტი

4 სპეციალისტი

8. მატერიალური რესურსები

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით(დანართი 2)

9. განვითარების პერსპექტივები

- 1.1. აკადემიური პროგრამების მოდერნიზება საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
- 1.2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) თანამონაწილეობით;
- 1.3. პროფესიული პროგრამების განხორციელება;
- 1.4. ტრენინგ-კურსების ამოქმედება და განხორციელება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგიისთვის;
- 1.5. ინოვაციური სასწავლო მასალების შექმნა, რომლებიც სრულყოფს სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურზე;
- 1.6. უცხოენოვანი სასწავლო კურსების შემუშავება.

არსებული პროგრამები		პერსპექტივაში
საბაკალავრო პროგრამები:		საბაკალავრო
1	აგრონომია	აგრონომია(ინტეგრირებული) მოდულები: • აგროტექნოლოგია

		<ul style="list-style-type: none"> • აგროეკოლოგია • მცენარეთადაცვა • საბაღო-საპარკომეურნეობა
2	აგროინჟინერია	აგროინჟინერია
3	აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა	აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა
4	საბაღო-საპარკო მეურნეობა	აგრობიზნესი
5	ტურიზმი	ტურიზმი
6	minor: აგროტექნოლოგია	minor: აგროტექნოლოგია
7	minor: აგროეკოლოგია	minor: აგროეკოლოგია
8	minor: აგროინჟინერია	minor: აგროინჟინერია
9	minor: აგროლოჯისტიკური სისტემები	minor: აგროლოჯისტიკური სისტემები
10	minor: სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზა	minor: სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზა
11	minor: საბაღო-საპარკო მეურნეობა	minor: საბაღო-საპარკო მეურნეობა
12	minor: ტურიზმი	minor: ტურიზმი
13		minor: აგრობიზნესი
სამაგისტრო პროგრამები:		
1	სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია	აგრონომია(ინტეგრირებული) მოდულები: <ul style="list-style-type: none"> • აგროტექნოლოგია • აგროეკოლოგია • მცენარეთადაცვა, • საბაღო-საპარკომეურნეობა • სუბტროპიკული კულტურების სელექცია
2	აგროეკოლოგია	
3	სუბტროპიკული კულტურების სელექცია	
4	აგროინჟინერია მოდულები: <ul style="list-style-type: none"> • სოფლის მეურნეობის მექანიზაცია • სპეციალური ტრანსპორტი სოფლის მეურნეობაში 	საინჟინრო ტექნოლოგიები(ინტეგრირებული) მოდულები: <ul style="list-style-type: none"> • აგროინჟინერიის • სასურსათო ტექნოლოგიის (ორი კვალიფიკაციის მინიჭებით)
5	სუბტროპიკული კულტურების გადამამუშავების ტექნოლოგია	
6	ლანდშაფტური არქიტექტურა	ლანდშაფტური არქიტექტურა
7	ტურიზმი	ტურიზმი
სადოქტორო პროგრამები:		
1	აგრონომია მოდულები:	აგრონომია(ინტეგრირებული) მოდულები:

	<ol style="list-style-type: none"> 1. აგროეკოლოგია 2. აგროტექნოლოგია 3. მცენარეთა დაცვა 4. მცენარეთა სელექცია 5. საბაღო-საპარკო მეურნეობა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ აგროტექნოლოგია ▪ აგროეკოლოგია • მცენარეთადაცვა • საბაღო-საპარკომეურნეობა • მცენარეთასელექცია
2	აგროინჟინერია	საინჟინრო ტექნოლოგიები (ინტეგრირებული)
3	აგრონედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია და ექსპერტიზა	მოდულები: <ul style="list-style-type: none"> • აგროინჟინერიის • სასურსათო ტექნოლოგიის (ორი კვალფიკაციის მინიჭებით)
პროფესიული (საგნობრივი) საგანმანათლებლო პროგრამები:		პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამები:
1	აგროლოჯისტიკის ოპერატორი – IVსაფეხური	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი
2	აგროლოჯისტიკის ოპერატორი – Vსაფეხური	მებაღე
3		ბაღის დიზაინერი
4		სასტუმრო მომსახურება
5		ფერმერი



10. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

1. მონაწილეობა საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებში
2. თანამშრომლობა უცხო ქვეყნის პარტნიორ უნივერსიტეტებთან
 - აგრონომიის მიმართულებით ავსტრიის ნიადაგებისა და ტყის კულტურების სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთობის დამყარება
 - ტურიზმის მიმართულებით ურთიერთობის გადრმავება ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტთან
 - ჩეხეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებების უნივერსიტეტთან (ტროპიკულ ფაკულტეტთან)
 - თურქეთი. ართვინის უნივერსიტეტთან
3. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ზრდა
4. სასწავლო პროცესში უცხოელი პროფესორის ჩართულობის გაზრდა
5. აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა უცხოეთში
6. უცხო ქვეყნის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორასთან ერთობლივი სასწავლო კურსების შექმნა


დანართი 1

აგრარულ ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე


სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა




აგროინჟინერია



აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა





დანართი 2

აგრარული ფაკულტეტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დეპარტამენტების მიხედვით

1. აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

კვლევების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის დეპარტამენტის ლაბორატორიები: 1. ნიადაგთმცოდნეობის, მელიორაციისა და აგროეკოლოგიური მონიტორინგის ლაბორატორია 2. აგროქიმიისა და მიწათმოქმედების ლაბორატორია და 3. მცენარეთა დაცვის ლაბორატორია. ლაბორატორიებში განთავსებულია შემდეგი დანადგარები: წყლის სახდელი აპარატი, გამწოვი კარადა, PH მეტრი, ფოტოელექტროკოლორიმეტრი, ცენტრიფუგა. ლაბორატორიაში არსებული აპარატურითა და პირობებით შესაძლებელია კვლევებისთვის საჭირო შემდეგი ამოცანების განხორციელება: ნიადაგური ჭრილის მორფოლოგიური აღწერა, ნიადაგების კვლევისათვის ნიმუშების აღება, ფიზიკური და მექანიკური ანალიზების ჩატარება. ნიმუშებში შეგვიძლია განვსაზღვროთ მექანიკური შედგენილობა, ხირხატეანობა, ფორიანობა, ხვედრითი და მოცულობითი წონა, წყალგამტარობა, წყალტევადობა, სტრუქტურეანობა, პლასტიკურობა, ჰუმუსი ტიურინისმეთოდით (ფენილანტრალინისმჟავათიანდიფენილამინით), PH-პოტენციომეტრით (PH მეტრით) წყლისა და კალიქლორის სუსპენზიაში, გაცვლითი და ჰიდროლიზური მჟავიანობა დაიკუხარა კაპენის მეთოდით. ლაბორატორიებში არის ჭურჭელი: რკინის მასრები, ფაიფურის ჯამები, საზომი კოლბები, ერლენმეიერის კოლბები, სატიტრავი ბიურეტები, ალუმინის და მინის ბიუქსები.

2. სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი

გამოიყენება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები, აგრარული ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები და სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი მეურნეობები;

ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები; „სუბტროპიკული კულტურების“ და „ტექნიკური კულტურებისა და სამკურნალო მცენარეების“ ლაბორატორია. სტუდენტები პარაქტიკულ უნარებს გამოიმუშავებენ უნივერსიტეტის სასწავლო მეურნეობებში.

3. ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი

ლანდშაფტური არქიტექტურის მიმართულებით ფაკულტეტზე კვლევისათვის ყველა პირობები არის შექმნილი, ეს არის კომპიუტერული კლასი 14 უახლესი კომპიუტერით, აღჭურვილი ბალ-პარკების პროექტირების 3D პროგრამებით („Наш сад omega 6.0“, „Наш сад Кристаллверсия 10.0“, ასევე ArchiCAD, „Photo Land Designer 2“ და Photoshop). ასევე არის შევთეთრი და ფერადი პრინტერები, 2 პროექტორი, ფოტოაპარატი, ლაზერული შორმზომი, საზომი ბორბალი და სხვა მოწყობილობები, რომლებიც საშუალებას იძლევიან განხორციელდეს გარემოს აგეგმვა, მცენარეული საფარის შესწავლა და გამწვანება-რეკონსტრუქციის პროექტების შექმნა 3D პროგრამებით. მცენარეთა აგროტექნიკური საკითხების შესწავლა-დამუშავება ხდება პარტნიორი ორგანიზაციის ტერიტორიაზე (ქ. ქუთაისის დეკორაციულ მცენარეთა სანერგე ი/ს „ნემო კაკუშაძე“), რომელიც კვლევებისათვის კარგ პირობებს ქმნის.

ტურიზმის მიმართულებით კვლევებისათვის არის შესაბამისი ინვენტარი/აღჭურვილობა, როგორცაა კარვები, საძილე ტომრები და სხვა.

4. აგროინჟინერიის დეპარტამენტი

1. ტრაქტორებისა და ავტომობილების კონსტრუქციების ლაბორატორია (აღწერილობითი კურსი) კაბინეტი
2. გამოყენებითი მექანიკის ლაბორატორია (კაბინეტი) აღჭურვილია თვალსაჩინო მასალებით: (მექანიკური გადაცემის მაკეტები, ცილინდრული, კონუსური, ჭიახრახნული რედუქტორები, პლანეტარული და ტალღური გადაცემის მაკეტები, საჩვენებელი პლაკატები)
3. ექსპლუატაციისა და რემონტის ლაბორატორია კაბინეტი. აღჭურვილია ავტომობილის ძრავების ჭრილები, სიჩქარეთა ყუთები სავალი ნაწილის კონსტრუქციები, წინა და უკანა ხიდები, საჭის მექანიზმები და სხვა კონსტრუქციული კვანძები.
4. კომპიუტერული კლასი აღჭურვილია კომპიუტერებით აუდიტორიაში ხორციელდება როგორც საბაკალავრო ისე პროფესიული პროგრამების სწავლება (აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხური)
5. ელექტრო ტექნიკისა და ელექტროამძრავების ლაბორატორია (კაბინეტი)
6. ლაბორატორია (კლასი) მანქანების მექანიზმებისა და მასალათმცოდნეობის. აღჭურვილია როკველის, ბრინელის და ვიკერსის სისალის საზომი მოწყობილობებით, დარტყმითი

სიზღანტის საზომი ქანქარა ურნალით, მანქანებისა და მექანიზმების თვალსაჩინო კონსტრუქციებით.

7. ლაბორატორია (კაბინეტი) ურთიერთ შემცველობისა და ტექნიკური გაზომვების: აღჭურვილია : მზომი ხელსაწყო იარაღებით (მიკრომეტრები, კალიბრები, კალიბრატორები, უნიკალური კუთვნილ მზომი, შტანგერფარგალი, კბილა გადაცემების კბილის სიმაღლის საზომები და სხვა.

ხელსაწყოები, დანადგარები, მოწყობილობები:

1. ტრაქტორი T150K, „სინტაი-18“, „სინტაი -180“;
2. გუთანი ექვსკორპუსიანი - 1 ცალი;
3. გუთანი ერთკორპუსიანი - 1 ცალი;
4. „მოტორ გრევერი“ (მოტობლოკი) – 1 ცალი;
5. „მოტორ ბუფერი“ მოტობლოკი – 1 ცალი;
6. გუთანი ორკორპუსიანი - 1 ცალი;
7. ფარცხი - 1 ცალი;
8. ორსექციანი სათესი - 1 ცალი;
9. კულტივატორი - 1 ცალი;
10. ფრეზი - 1 ცალი; სათიბელა - 1 ცალი;
11. სატრაქტორო მოსაზმელი - 2 ცალი;
12. მოტობლოკის კულტივატორი - 2 ცალი.

5. სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტს აქვს 5 სასწავლო – საკვლევი ლაბორატორია:

- ✓ სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის ლაბორატორია;
- ✓ ბიოტექნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;
- ✓ აგრონედლეულის შენახვა – გადამუშავების ლაბორატორია;
- ✓ ქიმიური ანალიზისა და ექსპერტიზის ლაბორატორია;
- ✓ ბიოქიმიისა და სასურსათო პროდუქტების ლაბორატორია.

ლაბორატორიები აღჭურვილია ლაბორატორიული მოწყობილობებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით.

სასწავლო კურსების : ბიოქიმია, საინჟინრო ენზიმოლოგია, ბიოტექნოლოგია, საწარმოო მიკრობიოლოგია- განსახორციელებლად გამოყენებულია სპეციალური ლაბორატორიული სამუშაოების ნაკრები

ლაბორატორიებში სასწავლო და საკვლევი სამუშაოებისათვის გამოიყენება ლაბორატორიული მოწყობილობები: ტექნიკური სასწორი (BAKT-500-M), ანალიზური სასწორები (№51144; BAP-200), თერმოსტატები, წყლის გამოსახდელი კუბი (D3-2-4M; TY-64-1-721-79; №20722), წყლის აბაზანები პოლონური (LAZMA WODN TY LWmLmW3), კამოვსკის ტუმბო, მიკროსკოპები, ცენტრიფუგა, სანჯღრეველა WU 4, მუფელის ღუმელი-МП-2YM №47135, თერმოსტატი მიკრობიოლოგიური TC-

6. აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
 ციტრუსოვანთა ნარგაობები:

N	გვარი	სახეობა	ასაკი	რაოდენობა
1	ციტრუსი	ლიმონი მეიერი	10წელი	15
2	ციტრუსი	ლიმონიმეიერი	4	10
3	ციტრუსი	ლიმონი ვილლაფრანკა	10	5
4	ციტრუსი	ლიმონი ქართული	5	1
5	ციტრუსი	ლიმონი დიოსკურია	4	1
6	ციტრუსი	მანდარინი საადრეო	5წელი	5
7	ციტრუსი	მანდარინი ფართოფოთლიანი უნშიუ	8 წელი	20
8	ციტრუსი	მანდარინიფართოფოთლიანი უნშიუ კლონიN2	6წელი	2
9	ციტრუსი	მანდარინი კოვანო-ვასე	5 წელი	6
10	ციტრუსი	მანდარინიმიჰო- ვასე	5 წელი	2
11	ციტრუსი	გრეიპფრუტი დუნკანი	10 წელი	6
12	ციტრუსი	გრეიპფრუტი იმერეთი	8 წელი	1
13	ციტრუსი	ადგილობრივი ფორთოხალი	4წელი	10
14	ციტრუსი	ჭიპიანი ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი	8წელი	2
15	ციტრუსი	პომპელმუსი სადესერტო შედოკი	5წელი	6
16	ციტრუსი	პომპელმუსი მსხლისებური შედოკი	5წელი	10
17	ციტრუსი	იჩანგენზისის ლიმონი	4წელი	2
18	ციტრუსი	იჩანგენზისის რთული ჰიბრიდი „კავკასია“	6წელი	1
19	პონცირუსი	ჩვეულებრივი ტრიფოლიატა	2წელი	2000
20	პონცირუსი	ადრემსხმოიარე	6წელი	20

		ტრიფოლიატა		
21	ფორტუნელა	კინკანი	5წელი	1
22	გრანტი 1-8/40 ჰიბრიდული თესლნერგები	თესლნერგები სხვადასხვა კომბინაციებით	4წელი	44

7. ნოსირისა და მუხიანის სასწავლო მეურნეობები:

1. ტრაქტორი „გოლდენ 118“ – 1 ცალი არა მუშა მდგომარეობაში
2. წყლის ბენზინის ტუმბო–1 ცალი
3. შესაწამლი აპარატი აკუმულატორით– 3 ცალი
4. შესაწამლი აპარატი ბენზინით – 1 ცალი
5. სათიბელა – 3 ცალი
6. სამყენი აპარატი– 2 ცალი
7. სასხლავი მაკრატელი– 4 ცალი
8. და სხვა სამუშაო ინვენტარი